საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 27 დეკემბრის
დადგენილება № 1043

საგანმანათლებლო პროგრამების
მოდიფიცირების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებში „მეცხოველეობა“, „აგრონომია“, „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში „მეცხოველეობა“, აშშ-ს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების გავლის შედეგად სტუდენტს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი ძირითადი სპეციალობის საგნების 220 კრედიტის (ECTS) და თავისუფალი კომპონენტების 20 კრედიტის (ECTS) ათვისების შემთხვევაში.

ბ) შეიცვალოს საკონსულტაციო საათების რაოდენობა: 220 კრედიტით გათვალისწინებულ ძირითადი სპეციალობის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსებისათვის და იგი განისაზღვროს 5 საათით, ხოლო თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არსებული სასწავლო კურსებისათვის – 15 საათით;

გ) შეიცვალოს სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა პროგრამებში წარმოდგენილი სახით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე